ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3319799

ნომერი: AR1511112

თარიღი : 05.06.2017

გაცემის თარიღი : 14.06.2017

გაცნობის თარიღი : 14.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრონშტანტი , (ცაგარელის) N72 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ რობაქიძე პ/ნ 01005018491
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 171/7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 მაისის N3274673 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 5 მაისს №AR1511112 განცხადებით მომართა ვლადიმერ რობაქიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017

წლის 22 მაისის N3274673 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 8 დეკემბრის №2331764 ბრძანებით ქ.თბილისში, ქუჩა კრონშტანტი,(ცაგარელის) 72 /ქუჩა ცაგარელი N78, შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.10.14.022.012) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N2645050 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 დეკემბრის №2331764 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3304,4; საერთო ფართობი (კვ.მ).: 5398,1; ასევე, №2331764 ბრძანებით შეთანხმებული +33.3 ნიშნულის საპროექტო გეგმა ჩანაცვლდა განმცხადებლის მიერ 2016 წლის 28 მაისის №AR1407720 განცხადებით წარმოდგენილი იმავე ნიშნულის გასწორებული საპროექტო გეგმით. ხოლო სამსახურის 2017 წლის 22 მაისის №3274673 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანებაში და სარეზოლუციო ნაწილში დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3303,4 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 22 მაისის №3274673 ბრძანების როგორც აღწერილობით, ისე სარეზოლუციო ნაწილში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ ნაცვლად „2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანებისა", მითითებული უნდა იყოს „2016 წლის 21 ივნისის N2645050 ბრძანება"
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 22 მაისის №3274673 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 მაისის №3274673 ბრძანებაში და როგორც აღწერილობით, ასევე სარეზოლუციო ნაწილში დაფიქსირდეს:„2016 წლის 21 ივნისის N2645050 ბრძანება".
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 მაისის №3274673 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.